ეროვნული ბიბლიოთეკა


# მწყემსი




მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).


**№ 23—24** **1883—1895** 1.—30 დეკემბერი.

გაზეთის ფასი:

| | «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით |
|---|---|---|---|
| 12 თვით | . . . 3 მან. | 12 თვით | . . . 5 მან. |
| 6 — | . . . 2 — | 6 — | . . . 3 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


## რედაქციისაგან.

თბილისსა და ქუთაის შორის გზების შეკვრისა და საბეჭდი ქაღალდის თავის დროზე მიუღებლობისა გამო ნოემბრის და ამ დეკემბრის თვეებში ჩვენ გამოცემათა თვეში ორ-ორი ნომრის მაგიერ თითო №-ი გამოიცა. იანვრის თვისათვის პირ-და-პირ რუსეთიდან არის დაბარებული ქაღალდი. ამ მიმდინარე წელიწადში სხვა და სხვა საპატიო საქმეთა გამო გაზეთის საქმეს იმდენი დრო ვერ მოვახმარეთ, რამდენიც გვსურდა. მომავალს წელში ჩვენ გვეყოლებიან მუდმივი თანამშრომელნი და ვეცდებით ჩვენის გამოცემის შინაარსის გაუმჯობესობას. ამასთან ჩვენ შევიძინეთ ახალი მაწრაფლ ბეჭდავი მანქანა შესანიშნავი და ნაქები კენიგ და ბაუერის ქარხნისა, რომელი მანქანაც საათში ბეჭდავს 1200 სუფთად და კარგად. იმედია, საზოგადოება აღმოგვიჩენს თავისს თანაგრძნობას და მოგვცემს ღონეს, რომ «მწყემსი» გახდეს სახალხო საკითხავ ორგანოდ.

იყო დრო, როდესაც ზოგიერთი ჩვენი »პუბლიცისტები» სასულიერო საკითხავებს უსარგებლოდ რაცხდენ ხალხისათვის, მაგრამ ეხლა მიხვდენ ეს ბატონები, რომ ხალხს, რომელიც მოკლებულია ზნეობრივ

სწავლას, მოელის ქვეყნიდგან აღგვა და გაქრობა. ეს, რასაკვირველია, კარგად უნდა ესმოდეს ჩვენს საზოგადოებას და ყველაზე მეტად სამღვდელოებას.

«მწყემსი»-ს რედაქციისაგან გამოცემული ნახატებიანი კალენდარი 5 იანვარს 1896 წ. დარიგდება გასაყიდლად. ამ კალენდარში მოთავსებულია საჭირო ცნობანი სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთათვის კვირიაკის ხმის და საცისკრო სახარების საკითხავების შესახებ.

## 1895 წლის გამთავეს.

ვისტუმრებთ 1895 წელს. ვეგებებით მომავალს 1896 წელსა ჩვეულებრივის აღტაცებით. ანგარიშები მიმდინარე წლისა, თითქმის, ყველგან და ყველა წოდებაში დამზადებულია. და ნეტავი მათ მკითხველს! რა გინდათ, რომ ამ წელში არ გაკეთებულიყოს! ქურდობა და ავკაცობა მოსპობილა, ხალხის ეკონომიური მდგომარეობა აყვავებულა, სწავლა-განათლება გაორკეცებულა, მოწაფეთა და მასწავლებელთა შორის მამაშვილური კავშირი დამყარებულა, ურთიერთ შორის მტრობა, შური, ღალატობა, დაბეზღება, თვალთ-მაქცობა და ცილისწამება მოსპობილა, რკინის გზის ხაზინა გამდიდრებულა და ინჟინერები კი დაღარიბებულან, სექტანტები დანათლულან და ცოტანიღა დარჩენილან, მქადაგებელნი გამრავლებულან, სამართალი ყველასათვის მიწვდომილა, ჩქარი და მიუდგომელი ყოფილა, თხოვნასთან შესატანი ბაჟის ფულის შემოსავალს უმატია, გათავებული საქმე ორი ათასობით არის, მხოლოდ გაუთავებელი ორიოდე ღა დარჩენილა. დიაღ, ასე ბედნიერი ყოფილა ეს 1895 წელიწადი ყველასათვის. ერთად ერთი დაზარალებული რკინის გზის ინჟინრები შეიქნენ რლევნობისაგან მათი «პოდრადჩიკებით», იმ «პოდრადჩიკებით», რომელთა საქმე იყო მხოლოდ მარტო მუშების გამოყვანა, მათი სახელების ჩაწერა და მათი დღიური ქირის მიღება!..

უცხო სახელმწიფოების პოლიტიკას რომ თვალი გადაავლოთ, დარწმუნდებით, რომ ყველა ხელმწიფეთა შორის მშვენიერი ძმური განწყობილება სუფევს და ამისთანა მშვენიერი კავშირის დასამტკიცებლად თოფზარბაზნის ქარხნებში დღე და ღამე მუშაობა გაუწყვეტელია ხალხის გასაწყვეტ იარაღების დასამზადებლად..

ხალხის საკეთილდღეო მოღვაწეობა სხვა-და სხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათა შესანიშნავია 1895 წელს. ფილოქსერის პარტიამ წიფის მიდამოებში გასინჯა ორი მილიონი ვენახის ძირები და მხოლოდ სამ ვაზზე შეამჩნია ფილოქსერა. საჭიროთ რაცხეს, რომ ერთი რიგი პარტია კიდევ მოუმატონ. გაზაფხულზე აპირებენ შქმერი მთის და სვანეთის ვენახების გასინჯვას და იმედი აქვთ ფილოქსერის აღმოჩენისა. მაშინ ორი პარტია კიდევ საჭირო იქნება...

ფოთის ქალაქის თავი ფოთელებს ურჩევს, რომ ეპისკოპოსის სახლი და კანცელარია თორმეტ ადლიან სიგრძე ბოძებზე დააშენონ, რომ რიონობის დროს წყალი არ შეადგეს სახლს და კანცელარიას და ქაღალდები არ დაასველოს.

ჩვენს ლიტერატურაშიაც დიდი ცვლილება მოხდა ამ წელში. მეველემ გაზეთის «ივერიის» პრეზიდენტობას თავი დაანება. მის ადგილზე მიწვეულ იქნა ბ. ლ-ლი. ლ-ლის პროგრამმა ჯერეთ არ გამოცხადებულა და არც იციან, ვის მიიწვევს იგი «ივერიის» საბჭოში საპატიო ადგილებზე.

ლ—კის მუნჯური სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა დარიგდა მასწავლებლებზე. ამ სახელმძღვანელოს წყალობით ბევრგან რუსები დაინიშნენ სოფლის სკოლებში. თავისს სახელმძღვანელოს ბოლოს ავტორმა ჩაურთო ქართ.-რუს. ლექსიკონი, რადგან დარწმუნდა თავის შეცთომაში. მაგრამ როგორ აუხსნიან ქართულს სიტყვებს ისეთი მასწავლებლები, რომელთაც ქართული სრულებით არ იციან?... ალბათ ისევე მუნჯურათ განმარტებენ ქართულსაც!...

## იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება ქუთაისში.

(გაგრძელება *)

ყოვლად სამღვდელოს წინადადებამ წმინდა სანთლის წარმოების საქმის შესახებ დიდი მადლობა და აღტაცება გამოიწვია სამღვდელოებაში; მთელი კრება წამოდგა ფეხზე და გულითადი მადლობა შესწირა მღვდელ-მთავარს. ყოვლად სამღვდელომ გამოუცხადა კრებას, რომ იგი ანიჭებს ამ უფლებას სამღვდელოებას იმ აზრით, რომ თავისი გამგეობით იგი უფრო კარგად და კეთილად წაიყვანს ამ საქმეს, ვინემ დღემდის მიდიოდა ქარხნისა და სანთლის საქმის წარმოებაო. ამ სიტყვებზე თავსმჯდომარემ მოახსენა ყოვლად სამღვდელოს: «თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ! გულით მადლობას შემოგწირავთ როგორც მე, ისე ეს კრება და მთელი იმერეთის

*) იხ. «მწყემსი»-ს № 22, 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპარქიის სამღვდელოება, რომლის წარმომადგენელნი ვართ ყველა აქ მყოფი დეპუტატები. 1868 წლიდან შემოღებულია სამღვდელოების კრებები. ვერ აღწერს და ვერ მოსთვლის კაცი იმ საკეთილო ცვლილებათა, რომელნიც მოხდენ და მუდამ სისრულეში მოდიან ამ კრებების წყალობით, მაგრამ ზოგიერთები ისე მრუდეთ უყურებენ ყველა ამისთანა საკეთილო დაწესებულებათა, რომ მათ მოსპობასაც თხოულობენ. გადაავლეთ ერთი თვალი სასწავლებლების შენობათა 1867 წლამდე და შეადარეთ შემდეგ დროში ამ კრებების წყალობით გამშვენებულ შენობათ; გადაავლეთ თვალი ძველი დროის «ბ უ რ ს ე ბ ს» და ეხლანდელ დროის პანსიონებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ მის შემდეგ ყოველიფერი იცვალა სასიკეთოდ, რა დროიდანაც სამღვდელოების კრებას მიენიჭა ზრუნვა სასწავლებლებზე. მსგავსად ამისა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, რომ ბევრად უმჯობესად წავა სანთლის ქარხნის და მისი წარმოების საქმეც, როდესაც მასზედ იზრუნებს და განაგებს მთელი საზოგადოება, ვინემ ორი-სამი პირი, რომელნიც პასუხისმგებელნი არ არიან საზოგადოების წინაშე და არც არავის არავითარ რიგიან ანგარიშს არ აძლევენ თავიანთ მოქმედების შესახებ. ყველა ამების დასამტკიცებლად, რასაც მოგახსენებთ თქვენ, საკმაოა ერთად-ერთი წელიწადი».

მათმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ბრძანა: «ღმერთმა ჰქმნას, რომ ჩვენი იმედი ასრულებულიყოს. ეხლა შეუდექით საქმეს და წყნარად და მშვიდობიანად, თანხმობით და სიყვარულობით გარდაწყვიტეთ ყველა კითხვები. ყოვლად სამღვდელო შინ წაბრძანდა და დეპუტატები შეუდგნენ საქმეების განხილვას.

დიდი გაცხარებული ბაასი და მსჯელობა გამოიწვია სანთლის წარმოების საქმემ კრებაზე. დეპუტატები, თითქმის, ყველანი ემდუროდნენ სანთლის ქარხნის და ამ ქარხნის საქმის გამგე პირთა. მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ ამ ქარხნის საქმე გასაკვირლად და გაუგებლად ყოფილა დაყენებული. აი მოკლე ისტორია სანთლის ქარხნის წარმოების საქმისა: ყველამ იცის, რომ იმერეთის სამღვდელოებას დღევანდელს საქალებო სკოლასთან აქვს თავისი საკუთარი სახლი, რომელშიაც არის გამართული სანთლის ქარხანა. ამ სანთლის ქარხანაში სცხოვრებს ოსტატი, სანთლის გამკეთებელი. თავისი ხარჯით ეს პირი ამზადებს სანთელს და ფუთში იღებს 3 მანეთს. სანთლის ქარხნის გამგეთ არის დანიშნული დეკ. კიკაჩეიშვილი ჯამაგირით. ამის მოვალეობას შეადგენს სანთლის ცვილის მოპოება-სყიდვა. დეკ. კიკაჩეიშვილმა უნდა ჩააბაროს სანთლის ქარხანას წმინდა სანთლის ცვილი; რამდენ ფუთსა და ორ გირვანქას ჩააბარებს, იმდენი ფუთი ჩამოსხმული სანთელი უნდა მიიღოს უკან. შემდეგ ჩამოსხმული სანთელი მიდის საწყობში და აქ იყიდება ცალკე დაქირავებული კაცისაგან. სანთლის საქმის მმართველი ყოველ საღამოობით ართმევს ფულს სანთლის გამყიდველს. არსებობს რევიზიის მომხდენი კამიტეტი დეკანოზის გ. ცაგარეიშვილის თავსმჯდომარეობით; ამ კამიტეტის წევრებად არიან ბლაღ. მღვდელი ნესტორ შვანგირაძე, ივლიანე წერეთელი და სხ. ბ. კოსტ. იოსელიანი ირიცხება «კონტრაგენტად», მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია მისი თანამდებობა. მას ეძლევა ოთხი მანეთი ყოველ ფუთ ჩამოსხმულ სანთელზე. იოსელიანი ამ ოთხი მანეთიდგან სამ მანეთს აძლევს სანთლის ჩამომსხმელ ოსტატს და თითონ რჩება მანეთი და ერთი გირვანქა სანთელი თითო ფუთიდგან. ბ. ი-ნი არც ყიდულობს სანთელს და არც არაფერს სხვა საქმეს აკეთებს. ამბობენ, კოსტ. იოსელიანი პასუხისმგებელი არის სანთლის ჩამომსხმელის მაგიერადაო, მაგრამ რა საჭიროა ამისთანა თავდებობა, როცა რასკინი გაჰქრა და ფულების ნაკლებულობა აღმოჩნდა, არც ერთი პასუხისმგებლად არ გამოდის. მაგრამ ამ საქმეს ჩვენ არ შევეხებით, ეს სასამართლოს საქმეა და იმის ვალია დამნაშავე პირების აღმოჩენა.

დიდხანს გაგრძელდა ბაასი სანთლის ქარხნის შესახებ და ბოლოს სამღვდელოებამ ერთხმად გარდაწყვიტა: დაინიშნოს კამიტეტი დეკანოზის დავით ღამბაშიძის თავსმჯდომარეობით, რომლის წევრებად დაასახელეს მასწავლებელი ანთიმოზ გორგაძე, მღვდელნი ფ. ფხაკაძე და დოლაბერიძე. ამ კამიტეტს მიანდვეს მართვა-გამგეობა სანთლის ქარხნისა და მისი საქმის წარმოებისა მათი შეხედულებისამებრ. ამ კამიტეტსავე დაავალეს შედგენა ყოველგვარი წესდებისა და დარიგებისა ჯეროვანად და სასარგებლოდ სანთლის ქარხნის და მისი საქმის წარმოებისათვის, რომელი წესდებები და დარიგებანი ექვსი თვის იქით უნდა წარედგინოს სამღვდელოების საგანგებო კრებას მომავალი წლის მაისის თვეში. ამავე კამიტეტს დაავალეს შეკრება ცნობებისა, თუ როგორ მიდიოდა უკანასკნელ დროს სანთლის წარმოების საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია ზოგიერთებისათვის ძნელი მისახვედრია სანთლის წარმოების შედეგი, მაგრამ ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბევრის წილად მეტი სარგებლობა აღმოჩნდება სანთლის ვაჭრობიდგან, ვინემ დღემდის იყო.

შემდეგ სამღვდელოებამ მოისმინა სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის წარსული წლის შესავალ-გასავლის ანგარიში, რომელიც მიიღო ერთხმად. შემდეგ შესავალ-გასავლის ანგარიშის მიღებისა სამღვდელოებამ მოისმინა წინადადება ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორისა, რომელიც ითხოვდა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისაგან 1440 მანეთს სხვა და სხვა საჭიროებისათვის და ერთი წევრის აღრჩევას სამღვდელოების მხრით. სამღვდელოებამ ფულის შეტანაზე უარი განაცხადა და 1) იმ საფუძვლით, რომ წარსულ წელში უჩვენეს წყაროები და შესავალი სემინარიის საჭიროებისათვის და იმაზე მეტის შეტანა არ შეუძლიათ, 2) ქუთაისის სასულიერო სემინარია მარტო იმერეთის ეპარქიისათვის არ არის დაარსებული, მაშასადამე ხარჯიც არ უნდა ეთხოვებოდეს მარტო იმერეთის სამღვდელოებას. სემინარიის სამმართველოში წევრად სამღვდელოების კრებამ ერთხმად აღირჩია დეკ. დავით ღამბაშიძე და მის კანდიდატად მღვ. ლეკვეიშვილი.

მეოთხე კითხვა, რომელიც კრებას უნდა განერჩია, იყო სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის მომავალი 1896 წლის ხარჯთა აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. სასწავლებლის სამმართველო მომავალი წლისათვის სამღვდელოებას თხოვდა სასწავლებლის შესანახავად თოთხმეტ ათას მანეთზე მეტს, სამღვდელოების მხრით კი ყოველწლობით შედის 13,292 მანეთი 85 კ. კრებამ გარდასწყვიტა: სმეტა დამტკიცებული იქნეს წარსული წლის ხარჯთა აღრიცხვისამებრ. ეთხოვოს სამმართველოს, ნუ აღუმატებს ხარჯს 13.292 მანეთზე და 85 კ.

მეხუთე კითხვა, რომელიც განიხილა სამღვდელოებამ, იყო სამმართველოს წინადადება სასწავლებელთან ფეხის ადგილებისა და სამზარეულოს გადაკეთების შესახებ ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობის მოთხოვნილებისამებრ. ამ საგნისათვის ითხოვებოდა სამღვდელოებისაგან სამი ათას ასი მანეთი.

თავმჯდომარემ შეკრიბა ამ კითხვის შესახებ ყველა ცნობები და აღმოჩნდა, რომ ბ. ტატიშვილს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად ყოფილს, 1886 წელში გაუკეთებინებია ფეხის ადგილი გუბერნის ხუროთმოძღვრის აფიშკოვისათვის, რომელსაც პირობა დაუდვია სამმართველოსთან, თუ ვინიცობაა ვინმეს საჩივრით, ანუ ქალაქის თვით მართველობის მოთხოვნილებით ამ ფეხის ადგილების გადაკეთება საჭირო შეიქნებაო, მე ვიქნე პასუხისმგებელიო. ეს პირობაც ჟურნალშივე იყო მოყვანილი. სამღვდელოების კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა: მიეცეს წინადადება სასწავლებლის სამმართველოს, რომ მან მოითხოვოს პირობის ასრულება აფიშკოვისაგან.

მეექვსე კითხვა, რომელიც სამღვდელოებამ განიხილა, იყო წინადადება სასწავლებლის სამმართველოისა შესახებ სტიპენდიის დანიშვნისა გარეშე ბინაზე მცხოვრებ ღარიბ მოსწავლეთათვის. სამღვდელოების კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა: ეთხოვოს სასწავლებლის სამმართველოს, რომ ღარიბ შაგირდებს დაახმაროს ერის კაცის შვილებისაგან სწავლის უფლებისათვის შემოსული ფულები, რადგან სამღვდელოების ფულები კარგა ბლომად იხმარება სასწავლებლის იმისთანა საჭიროებაზე, რომელზედაც ერის კაცის შვილებისაგან სწავლის უფლებისათვის შემოსული ფული უნდა იხმარებოდეს.

მეშვიდე კითხვა, რომელიც სამღვდელოების კრებამ განარჩია, შეეხებოდა სასწავლებლის სახლის დაზღვევას, კრებამ ერთ ხმად გარდასწყვიტა, მიენდოს დეკ. დავით ღამბაშიძეს, შეკრიბოს ყველა საზოგადოებისაგან ცნობები დაზღვევის შესახებ და რომელ საზოგადოებამაც სასარგებლო პირობით მიიღოს დაზღვევა, იმ საზოგადოებას დააზღვევინოს.

შემდეგ სამღვდელოების კრებას მოხსენდა თავმჯდომარისაგან ეპარქიალურის საქალებო სასწავლებლის რჩევის წინადადება. ხსენებული სასწავლებლის რჩევა თხოვდა სამღვდელოების კრებას, რომ მას დაეარსებინა საქალებო სასწავლებელში პანსიონი ოცი მოსწავლე ქალისათვის. თვითონ სამღვდელოებას რჩევა თხოვდა პანსიონის მოსაწყობად ერთ დროებითად 1000 მანეთამდე. თითოეულ მოწაფეს სასულიერო წოდებისას პანსიონში უნდა შეეტანა წლიურად 120 მ. და ერთ დროებითად 30 მ., ხოლო საერო წოდებისას-წლიურად 150 მ. და ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითად 30 მან. ამ კითხვამ დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზე. კრება წინააღმდეგი იყო მიეღო თავისს თავზე ათასი მანეთი ხსენებული პანსიონის დასაარსებლად და ძლიერ სამძიმოდ მიჩნია თითო მოსწავლე ქალისაგან პანსიონში წლიურად 120—150 მანეთის შეტანა და ერთ დროებითად 30 მანეთისა.

ჩვენ როგორც გვახსოვს, ამ საქალებო სასწავლებლის გახსნისათანავე ერთ ქალს მიეცა ნება მოეწყო ამ სასწავლებლის შენობაში კერძო პანსიონი. ეს ქალი მზად იყო თითოეული მოსწავლე ქალი მიეღო თვეში 7—8 მანეთად, მაგრამ კერძო პანსიონში შესვლის მსურველნი ძლიერ ცოტანი აღმოჩნდენ, რაისა გამო ეს პანსიონი მალე დაიხურა. სამღვდელოების კრებამ როგორც ეს გარემოება ისე ბევრი სხვა მოსაზრებაც მიიღო მხედველობაში და უარი განაცხადა სასწავლებლის რჩევის წინადადებაზე.

მართლაც უმნიშვნელოდ მიგვაჩნია ამ საქალებო სასწავლებელში ოცი მოსწავლე ქალისათვის პანსიონის დაარსება. თუ ასე საჭიროა პანსიონის დაარსება და მოსწავლეთა მშობლებიც ისურვებენ ხსენებული ხარჯის შეტანას, მაშინ, რასაკვირველია, საუმჯობესო იქნება პანსიონი დაარსდეს არა მარტო ოცი ქალისათვის, არამედ ყველასათვის. ოცი ქალისათვის გახსნილი პანსიონი, თითქმის, იმდენივე ხარჯს მოითხოვს მოსამსახურეთა, მზარეულთა, მომვლელთა და თვალ-ყურის მგდებელთათვის, რამდენსაც მოითხოვდა მთელი ამ სასწავლებლის მოსწავლე ქალთათვის გახსნილი პანსიონი. ზოგიერთებს შეუძლებლად მიაჩნიათ მოსწავლე ქალთა კერძო ბინებიდგან სასწავლებელში სიარული. მაგრამ ამავე პირთ ავიწყდებათ, რომ ქალების სასწავლებლებში უმეტესად გარეშე ბინებიდგან დაიარებიან მოსწავლე ქალები, მაგრამ იგინი არც ზნეობით და არც სწავლით უკან არ რჩებიან პანსიონებში დიდი ფუფუნებით მცხოვრებ ამხანაგებს. დაარსდება თუ არა სადმე სასწავლებელში პანსიონი, შეიქნება ერთი ლიტინი და თხოვნა, რომ ყველანი მუქთად მიიღონ პანსიონში. გარდა ამისა უფრო მომეტებულად აწუხებენ სამღვდელოებას პანსიონში მცხოვრებთ თვალ-ყურის მგდებლები, მოსამსახურენი და მზარეულნი. ამ გარემოებამ და თავისმა სიღარიბემაც აიძულა სამღვდელოება უარი განეცხადებია საქალებო სასწავლებელში პანსიონის გახსნაზე. ზოგნი გაიძახიან, თუ პეტერბურგის, მოსკოვის და ოდესის ეპარქიალურ საქალებო სასწავლებლებში კი არსებობს პანსიონები, რატომ არ შეიძლება ჩვენს სასწავლებელშიაც გავხსნათო. მაგრამ ამ პირთ ავიწყდებათ, რომ პეტერბურგის, მოსკოვის და ოდესის სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობა და ჩვენი სამღვდელოებისა ერთი და იგივე არ არის. ხსენებულს ეპარქიებში სასწავლებლებს მომეტებული საზრდო ეძლევათ ეკლესიების და მონასტრების შემოსავლისაგან და ჩვენში უმეტესად ეკკლესიებს სევისკვრის და ზედაშის მოსაპოებლადაც უჭირსთ ფულის შოვნა. კრებაზე ბევრი დეპუტატები საყვედურს აცხადებდენ საქალებო სასწავლებლის რჩევაზე იმის გამო, რომ ეს სასწავლებელი აგერ სამი წელიწადია არსებობს, სამღვდელოებისაგან 1892 წლიდან იკრიბება ფული ამ სასწავლებლის შესანახავად და სამღვდელოებას კი არავითარი ანგარი არ ეძლევაო.

თავმჯდომარე აგერ კრებაში ბძანდებიან ამ საქალებო სასწავლებლის რჩევის წევრნი: დეკ. ბლაღ. მ. ი. ჭეიშვილი და ბლაღ. მღვდელი მ. ნ. ყუბანეიშვილი; იმედია, ესენი შეატყობინებენ დეპუტატებს საჭირო ცნობებს ამ სასწავლებლის შესახებ. გთხოვთ შეატყობინოთ კრებას, თუ რა მიზეზისა გამო არ ედგინება სამღვდელოებას ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის შესავალ-გასავლის ანგარიში?

სასწავლებლის რჩევის წევრი. დეკ. მ. ი. ჭეიშვილი. ჩვენ არ ვიცით, თუ რა მიზეზისა გამო არ აძლევდა სასწავლებლის რჩევა ანგარიშა სამღვდელოებას, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს კი შეადგინეს ეს ანგარიში და კიდეც უნდოდათ გადმოეცათ სამღვდელოების კრებისათვის, მაგრამ ბოლოს სთქვეს, რომ სამღვდელოების კრებას არა აქვს უფლება ხსენებული ანგარიში მოითხოვოსო. ეს ანგარიში წარუდგინეს მღვდელ-მთავარს.

თავმჯდომარე. ძლიერ გვაკვირვებს თქვენი სიტყვები. კანონიც რომ არ ავალებდეს ამ ანგარიშის წარდგენას სამღვდელოების წინაშე, მაინც რიგი და მართებული იქნებოდა, რომ სამღვდელოებისათვის ეცნობებიათ შესავალ-გასავლის ანგარიში იმ სასწავლებელისა, რომელსაც სამღვდელოება მთლად თავისი საკუთარი ხარჯით ინახავს. ჩვენ გვიკვირს, თუ როგორ ვერ მიაგნო სასწავლებლის რჩევამ კანონის იმ მუხლს, რომელიც ავალებს სასწავლებლის რჩევას. ასეთი ანგარიშების დაბეჭდვას სასულიერო ეპარქიალურ გამოცემაში და თუ ასეთი გამოცემები არ არსებობენ, მაშინ «საგუბერნიო უწყებებში».

დეკ. ჭეიშვილი. გვიჩვენეთ, მ. თავმჯდომარევ, თუ სად სწერია ასეთი მუხლი კანონისა.

თავმჯდომარე. აიღეთ ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის საზოგადო წესდების 2110 მუხლი და წაიკითხეთ...

## სოსიკო კეჩხუაშვილი.

(ნამდვილი შემთხვევა 1892 წელსა ხოლერობის დროს)

### I

შუადღე არის. მზის სხივი
სწვავს, ალმურს ადენს სოფელსა;
გული და სული ეხუთვის
მუშაკს ამ დროსა მშრომელსა.
არა ჰქრის გრილი ნიავი
გუნების გამხარებელი,
ურკვევსა საიდუმლოსა
მოუცავს არსი ყოველი.
აღარც მოისმის ღიღინი
მუშაკის, ოფლის მღვრელისა,
არც ტკბილი ხმები ფრინველების,
არც კვნესა სალამურისა.
სიცხის მიზეზი არაა
ასეთი ყოფა სოფლისა:
ბევრჯელ უნახავს მას სიცხე,
უძლიერესი ამისა,
მაგრამა იგი აროდეს
არ მისცემია სიჩუმეს.
და ყოველთვის სწევდა სიმღერით
ცხოვრების უღელს ის მძიმეს.
ბაქოს მხრიდგანა ხოლერა
ეწვია საქართველოსა,
და ბევრსა ადამიანსა
ის უღებს უღვთოდ ბოლოსა.
დიდს გასაჭირში ჩავარდა
სოფელი თამარაშენი;
ექვსი დღე არის ესტუმრა
ხოლერა საზარი სენი.
აქ მოჰკლა ერთი, იქ მორე;
ბევრს დაუბნელა თვალები,
გამოასალმა სოფელსა
მოხუცნი, ახალ-გაზდები.
სოფლის ნაპირას ცხოვრობდა
გლეხი დათიკო დურგალი,
თვით შინ არ იყო, მის ცოლი
ხოლერამ მოჰკლა საწყალი.
ის მუშაობდა ძევერას,
კაი ხნობითა წასული;
ცოლი და ქალი პატარა
შინ ჰყავდა დატოვებული.
მიცვლილი სახლში აგდია
საზარლად აყროლებული;
ბუზების ლუკმად გამხდარა
მის გვამი გალურჯებული,
ვერ ეკარგება ვერავინ
ხოლერით შეშინებული.
ხუთის წლის ქალი პატარა
თავსა დასტირის მშობელსა
და ვერვის ხედავს საბრალო
ჭირში მანუგეშელსა.
ხან მკვდარსა ჩაეხუტება,
ქვითინით ახლის ზედ თავსა,
ხან კარში გამოვარდება,
შორს წასვლას კი ვერ ბედავსა.
—«დედილო!»—იტყვის ტირილით—
«გამოახილე თვალები,
მომშივდა, პურიც არ არის,
შენამც კი გენაცვალები.
მშიერი წიწილებიცა
საცოდავათა სწივიან,
საკენკის გამოლევასა
თითქოს მე შემომჩივიან.
საღამოს ძროხაც მოგვიდის,
და არვინ სწველავს, დედილო!
აქამდის ძილი არ გეყო,
რამე მითხარი ხმა ტკბილო?!»
ბალღის ტირილი მოესმა
სოსიკო კეჩხუაშვილსა,
გლეხს ძევერელსა, კალატოზს
ბუნებით მეტად გულ-ჩვილსა.
იცის სოსიკომ, რომ ქმარი
ხოლერით გარდაცვლილისა
ძევერაშია არ მცოდნე
თვის ცოლის მიცვალებისა.
სოსომ სთქვა: «წავალ ძევერას,
აქ ხომ მძვინვარებს ხოლერა;
დათიკოსაცა ვეტყვი, რომ
შინ წამოვიდეს ის ჩქარა.
თავისი ცოლი დამარხოს
და ანუგეშოს პატარა;
ბალღის ტირილის მოსმენამ
გული ათასად დაღარა!»

სოსიკომ სახლში წასვლის წინ
ღმერთი მაღალი ახსენა,
გადაიწერა პირ ჯვარი,
წავიდა ძევერასკენა.

II

—„ე, დალახვრული პარსეთი
დღესაც ცუდს საქმეს გვიშვრება;
წინათ გვებრძოდა და სურდა
მას ჩვენი გადაშენება.
ბოლოს დასუსტდა, რა ჩვენთან
ომითა გული იჯერა,
და ნაცვლად თავის ჯარისა,
ორჯერ გვასტუმრა ხოლერა.
ი დაწყევლილი ხოლერა
ვაი თუ თანაც მიმყვება!
ძნელად თუ ვინმე იმისა
გზასა და კვალსა მიხვდება!»
ამბობს სოსიკო, მოჰყვება
ლიახვს ლურჯს, ჩქარა-მავალსა,
იგონებს თავის ობლობას,
თავის თავ-გადასავალს.
იგონებს იმ დროს, როდესაც
გორის შკოლაში სწავლობდა
და არ იცოდა ნაღველი,
არაფერზედა დარდობდა;
—«ბავშვობის დროსა მეგონა
სოფელი საამო, ტკბილი
და ცხოვრებისა ჩვენის გზა
ტურფა ვარდებით ფენილი.
მაგრამ ვიცანი სოფელი
მუხთალი დამღონებელი,
და მასუკანა სიცოცხლეს
მიზხამავს მწვავე ნაღველი!
სოფელში მხოლოდ ის არის
ბედნიერი და დღეგრძელი,
ვინც იუდას ჰგავს საქმითა
და არის ფარისეველი!»
შინ მივალ... ნეტავ დედა-ძმას
ვნახავდე დამშვიდებულსა?!
ვიცი შინ ჩემი მისვლითა
მე გავახარებ მათ გულსა».

ი. ჩხ—ლი.

(შემდეგი იქნება)

---

## სამაგალითო ქრისტიანე

### ალექსანდრე ივანეს ძე ახვლედიანი.

†

ალექსანდრე ივანესძე ახვლედიანმა 16—17 წლისამ წარსულს წელში დაამთავრა სწავლა სამეგრელოის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში პირველი ხარისხის მოწმობით. სწავლის დამთავრების შემდგომ მას ჰსურდა პირ-და-პირ ბერად აღკვეცილიყო, და თუ ჰირისუფლებმ, მაინც და მაინც, ძალას დაატანდნენ მას სწავლის გაგრძელებას, განზრახული ჰქონდა უთუოდ სასულიერო სემინარიაში გაეგრძელებია სწავლა და რიგიანად მომზადებული იყო, რომ მომეტებული სარგებლობა მოეტანა ბერობაში. მაგრამ განსვენებულმა ვერც ერთ თავისს განზრახვაზე ვერ მიიღო ნება-რთვა ჰირისუფლებისაგან. მშობლებმა აიძულეს ალექსანდრე მომზადებულიყო „მეჟევოი» შკოლაში შესასვლელად. გულჩვილი ყმაწვილი, რომელსაც არათუ მშობლების არამედ ვარეშე პირების წყენაც არასოდეს აზრადაც არ მოსვლია, დაემორჩილა მშობლების ბრძანებას, თუმცა გულით კი წინააღმდეგი იყო ხსენებულ შკოლაში შესვლისა. მშობლებმა ალექსანდრე «მეჟევოი» შკოლაში მოსამზადებლად მიაბარეს კერძო მასწავლებელს ქ. ფოთში. სამაგალითო ნიჭიერმა და დაუზოგველმა მშრომელმა ყმაწვილმა ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ მთელი ერთი წლის კურსი ხუთ თთვეს გაიარა; ის იყო მომავალ სექტემბერში უნდა შესულიყო «მეჟე-ვოი» შკოლაში, მაგრამ დაუზოგველმა შრომა-მეცადინეობამ, ფოთის ცუდმა ჰაერმა და პირველი მისი წმიდა აზრების ჩაშლამ საწყალი ალექსანდრეს ნაზი ბუნება მოუწამლეს. ოთხი თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 27 ივლისს საუკუნოდ გამოესალმა ამ წუთი სოფელს სახარბედიოს დედათა მონასტერში და თავის ანდერძისა მებრ იქვე მიებარა შავ მიწას.

განსვენებული ალექსანდრეს ცხოვრება იმდენს ღირს საცნობ ამბებს წარმოგვიდგენს სარწმუნოების მხრით, რომ, ვგონებ, მკითხველებთათვისაც საყურადღებოდ დარჩეს განსვენებული ცხოვრების მოკლე ბიოგრაფია.

განსვენებული ალექსანდრე იყო ძე კოლეჯსკი ასესორის ივანე სიმონის ძის ახვლედიანისა. განსვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული ალექსანდრეს ღვიძლი ძმანი არიან არხიმანდრიტი გაენათის მონასტრისა სერაპიონი, ქაიხოსრო, რომელიც სიყრმიდან გამოესალმა თავისს სამშობლო მხარეს, მამულ-დედულს და გაემგზავრა მთაწმიდაში, სადაც ის შედგა ბერად და აქამომდე თავის აღრჩეულს მიზანს სიწმიდით ემსახურება. დეკანოზი გიორგი, რომელმაც მეუღლის სიკვდილის შემდეგ უზრუნველ ჰყო თავისი დანარჩენი შვილები, ხოლო ორი ქალით ქეთევან და რიფსიმეთი შედგა სახარებელიოს დედათა მონასტერში თითონ მლოცველად ხოლო ქალები მონაზვნად; თვით მამა ალექსანდრესი ივანე თავისი მეუღლით, ძით და ასულებით ძლიერ ღვთის მოყვარენი და მადლ-ცხებულნი არიან. არც გასაკვირია, რომ ასეთ მშობლებ-ნათესაობას კეთილი შვილი აღზრდოდა, მაგრამ ალექსანდრესგან, იმ ალექსანდრესგან, რომელსაც 17 წელიწადი ძლივს უსრულდებოდა, ძნელი მოსათხოვნელი იყო ისეთი მტკიცე სარწმუნოების მქონობა, როგორსაც იძენდა იგი ამ ჩვენს დროში.

განსვენებულ ალექსანდრეს, თითქმის, მოსამზადებელ კლასებში ყოფნის დროსვე ეტყობოდა კეთილი ხასიათი და ღვთის სიყვარული. ისეთი შემთხვევა არ ყოფილა, გარდა ავადმყოფობისა, რომ ის წირვა-ლოცვას დაჰკლებოდეს; ყოველთვის საკურთხეველში სასოებით ისმენდა ღვთის-მსახურებას და იქ ასრულებდა მნათის მოვალეობას. ისე დროსაც იყო წყნარი, დინჯი, არავის იმისაგან წყენა არ შეხვედრია და ამიტომ არც იმისთვის მისს სიცოცხლეში უწყენიებიათ რამ.

როდესაც ალექსანდრე მეორე კლასში სწავლობდა, მისს აღმზრდელთ და ქირისუფალთ ბ. ს. ქავთარაძეს და მეუღლემან მისმან, რომელთაც ალექსანდრე შვილად ჰყავდათ აყვანილი, აჩუქეს ყმაწვილს ღვთის-მშობლის ხატი, რომელიც განსვენებულმა ალექსანდრემ დიდის მოწიწებით წაასვენა სენაკში და იქ თავის ოთახში (მამის სახლში) ჩამოჰკიდა. ღამით, როცა მთელი ოჯახობა მილაგ-მოლაგდებოდა, რასაკვირველია, ალექსანდრეც დაწვებოდა, მაგრამ ძილი იმისს თვალს არ ეკარებოდა, სანამ ყველანი არ დაიძინებდენ. როცა დარწმუნდებოდა, რომ ყველას ეძინა, ალექსანდრე ფრთხილად წამოდგებოდა საწოლიდან, აუნთებდა ხატს წმიდა სანთელს, (სანთლის სასწავლებლიდან ჰყიდულობდა ნაჩუქარის ფულებით) და მის წინ მუხლ მოყრილი ცრემლის ფრქვევით ლოცულობდა. არა ერთხელ შეუნიშნავ ასეთი საქციელი ალექსანდრესი მისს დედას, რომელიც ალტაცებაში მოდიოდა შვილის ასეთი მოქმედებით. 1) «კანიკულებში», როცა ალექსანდრე სოფელში წავიდოდა, თავისს ხატს ბინაზე არ ტოვებდა, სახარებელიოს დედათა მონასტერში წაასვენებდა და იქ ინახავდა, სანამ სასწავლებელში დაბრუნდებოდა.

განსვენებულს ალექსანდრეს ხუმრობა, უსაგნო რამეებზე ლაპარაკი, დროს სატარებელ ადგილებში სიარული ჩვეულებად არა ჰქონდა. ის ყოველთვის თავის-თვის იყო, თავის ოთახს უსაქმოდ არ შორდებოდა. ხუმარა და გაფუჭებული ხასიათის ბიჭებთან კავშირი თავის დღეში არ ჰქონია, არც იკარებდა მათ სიახლოვეს. თუ ვინმე ისეთი ესტუმრებოდა, რომელიც ალექსანდრეს სიტყვებს ყურადღებით მოისმენდა, იმას უთუოდ გამოებაასებოდა. რასაკვირველია, სალაპარაკოდ იღებდა რაიმე სასულიერო საგანს და იწყებდა მუსაიფს. საღმრთო და წმ. მამებთა წერილები ალექსანდრეს ბევრი ჰქონდა და თავისუფალ დროს ბეჯითად კითხულობდა და თითქმის ზეპირად სწავლობდა შესანიშნავ ადგილებს. უსაქმობა-ცუდობის ალექსანდრეს არა სწამდა რა.

განსვენებული ალექსანდრე როცა ქ. ფოთიდან ავადმყოფი მოჰყავდათ სოფელში, ბ. ქავთარაძემ მიეცა მისთვის რამოდენიმე მანეთი, რომელ საჩუქარს საწყალი ალექსანდრე ძლიერ გაეხარებია. როდესაც ის გურძემში (თავის სოფელია) ამოვიდა, ამ ფულებით ჰყიდულობდა პურს, ღვინოს, ზოგიერთ წამლებს და სანამ ეს ფულები არ შემოელია, ყოველ საღამოს ამ სანოვა-

1) ამ სტრიქონების დამწერს ამას წინეთ შემთხვევით მოუხდა განსვენებულ ალექსანდრესთან ერთად ოთახში დაწოლა; ცოტა ხანსის შემდეგ მივაბრუნე პირი დასაძინებლად. სანამ მიმეძინებოდა, რამოდენჯერმე მომესმა ჩუმი სახელი ალექსანდრესაგან. მე, ცოტა არ იყოს, ძილ-დაბრთხობილმა და გაჯავრებულმა, ხმა არ გავეცი. იგი დარწმუნდა, რომ მე მეძინა, უეცრად მიატოვა ლოგინი, მივიდა ხატთან, აუნთო სანთელი და დაიწყო მხურვალედ ღვთის ვედრება, რომელიც გაგრძელდა არა ნაკლებ ორის საათისა. მე დაკვირვებით უცქეროდი, სანამ ალექსანდრემ ლოცვა არ გაათავა და მერმეც მთელი ღამე არ დამძინებია ამ ყმაწვილის ესრეთი საქციელისა გამო.

ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეს აჰკიდებდა თავისს მამას ვირს, თითონ ზედ შეჯდებოდა, გაიძღოღლებდა ბიჭს და ყოველ ღარიბდაცემულს, ავადმყოფ-გლახაკებს, თავისს ხელით აჭმევ-ასმევდა და ზოგს ფულათაც ურიგებდა.

საშინელი შინაგანი აღელვება ეტყობოდა საწყალ ალექსანდრეს ერთს საღამოს, როცა მამა მისმა დასცინა მას ვირზე ჯდომა «ვაი. ჩვენს ფარისევლურს ამპარტავნობას... ვაი ჩვენს უგონო სიამაყეს, ამბობდა საწყალი, განა ჩვენისთანა კაცი იჯდა ვირზე? განა იესო ქრისტე, თვით ღმერთი, ჩვენთვის განკაცებული არ იჯდა ვირზე? ამის შემდეგ განა ღირს ვართ ჩვენ კიდევ ვირზე შევჯდეთ? «არა იციან, რასა იტყვიან,» დასძინა ალექსანდრე.

დიდხანს არ დარჩენილა ალექსანდრე სოფელში, მხოლოდ რამოდენიმე დღეს დარჩა და ამ მცირე ხნის განმავლობაში ორჯერ იკურთხა ზეთი. პირველად მშობლების ნამალევად ეკკლესიაში და მეორედ როცა ლოგინიდან წამოდგომა უძნელდებოდა, მშობლების თანხმობით სახლში. ორივე ჯერ საშინელი ყურადღებით ისმენდა მღვდელთაგან წარმოთქმულ სიტყვებს.

სიკვდილის მოახლოვება ადრევე იგრძნო განსვენებულმა ალექსანდრემ. ალექსანდრე სიკვდილის წინ მისი სურვილისამებრ წაყვანილ იქმნა სახარბედიოს დედათა მონასტერში, რადგანაც ჰსურდა, იქ დასაფლავებულიყო. თუმცალა მონასტერში მას უფრო გაუძნელდა ავათმყოფობა, მაგრამ ალექსანდრეს პირიდან, მსგავსად იობი მრავალწამებულისა, არ ამოსულა ის საგმობი სიტყვები, რომელიც თითქმის, ყოველ კაცს სჭირს რაიმე გაჭირვების, ან ავადმყოფობის დროს, არამედ რამდენათაც უფრო მეტად იშლებოდა მისი სხეული და რამდენათაც უფრო უძნელდებოდა მას სიცოცხლე, იმდენად უფრო მადლობდა ღმერთს და სიხარული ეხატებოდა სახეზე. როცა ლოცვას დაიწყებდა ალექსანდრე, არავის არ აძლევდა ნებას მისს ოთახში დარჩენილიყო, მაგრამ მეორე ოთახში მაინც მკაფიოდ მოისმოდა სხვა მრავალ ლოცვებთა შორის «გმადლობ შენ ქრისტე ღმერთო ჩემო, რამეთუ მე ხორციელად მომანანებიე ჩემი ცოდვები და განწმედილი მიგყევარ სასუფეველსა შენსა ცათაში» განსვენებული ალექსანდრეს სახარება არ მოუშორებია, სანამ უკანასკნელად არ დახუჭა თვალები. იმას თავის წინ სკამებისაგან მოწყობილი ჰქონდა ანალოღია, რომელზედაც ესვენა წმ. სახარება, თუმცალა თითონ ფურცლების გადაშლა არ შეეძლო, მაგრამ დედა, რომელიც განუშორებლად გვერდზე უჯდა, ფურცლებს თითონ კითხულობდა და ცრემლებით ინამებოდა. ალექსანდრემ შეატყო თავს, რომ ის ვერ გაუძლებდა მკაცრს ავადმყოფობას, გამოტეხით უთხრა მშობლებს: «თქვენც დარწმუნებული უნდა ბძანდებოდეთ, რომ მე ამ ხანებს ვერ გადაურჩები. თქვენ არ იტირ-იმგლოვიაროთ ჩემზე. თქვენთვის ხომ სულ ერთი იყო, თუმც ცოცხალი დავრჩენილიყავი, მაინც არ ვიქნებოდი თქვენი, მე აღთქმა მქონდა მიცემული ღვთისათვის, რომ ბერად შევმდგარიყავი და კიდევაც ავასრულებდი აღთქმას, რომ ასე ადრე არ შეეწირა ღმერთს ჩემი სული. ბევრჯელ შემიწუხებიხართ, მშობლებო! ვითხოვ შენდობას და მოტევებას და უკანასკნელად გთხოვთ ჩემს სიცოცხლეში რაიმე ნიშანი ბერობის დამანახოთ». მშობლები ალექსანდრესაგან იმედ დაკარგულნი, უსრულებდენ მას ყოველ წადილს, რომლისათვის მათის თხოვნით და განკარგულებითა ყოვლად უსამღვდელოესი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგორისათა განსვენებულ ალექსანდრეს ეკურთხა მცირე სქემა მაღალ ღირსი ხობის არხიმანდრიტი სიმონისაგან. კურთხევის მეორე დილის 6 საათზე აღთქმის ასრულებით გახარებულმა ალექსანდრემ განუტევა სული. მაღალ ღირსი არხიმანდრიტი სიმონი დარჩა ძლიერ გაკვირვებული ამ ეთი ყმაწვილის ეგზომ სარწმუნოებით. «შევატყვე რა, ამბობს არხიმანდრიტი, ალექსანდრეს აღსასრულის მოახლოვება, მინდოდა მეთქვა, რომ ის ბედნიერი იქნებოდა საიქიოს და მიტომ სიხარულით მიჰგებებოდა სიკვდილს, მაგრამ ხაკვირველი ის იყო, რომ მე თვითვე დავრჩი მისგან სამაგალითოდ დარიგებული».

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ქრისტეს სარწმუნოებით აღვსილო, კაცთ მოყვარეო, საყვარელო ძმაო ალექსანდრე. იმედი გვაქვს, რომ შენ გულზედ მიგიკრავს ღვთის-მშობელი, ევედრე ალესანდრე ყოვლად წმიდას, რათა ჩვენც მომბაძავ შენდა ვიყოთ.

კირილე ჯავახია.

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებაზე და კეთილზნეობაზე.

## ცხოვრება ღირსისა და სასწაულთ-მომქმედისა წმ. იოანნე ზედაზნელისა.

დასასრული *)

როცა წმ. იოანნემ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გაგზავნა თავისი მოწაფეები საქადაგებლად, თვითონ მხოლოდ ერთი მოწაფე-მთავარ-დიაკვანი ილია დაიტოვა. იგი მთლად შეუდგა სულიერ მოღვაწეობას, მარხულობდა, ლოცვილობდა და მთლად მოაკვდინა თავისი სხეული. წმ. იოანნე ნახულობდა თავისს მოწაფეებს, ამხნევებდა მათ და ურჩევდა განკერძოთ თავიანთი სულიერი მოღვაწეობა და მუდამ მზათ ყოფილიყვნენ იმ მოულოდნელი დღისათვის, რომელსა შინა მომავალი სიძე მოუწოდებს წმიდა სულთა, აღვსებულთ ქრისტიანული ქველმოქმედებით და წაიყვანს მათ წმიდათა საქორწილო დარბაზში. წმ. იოანნეს სურდა შეეტყო თავისი მოწაფის წმ. შიოს სულიერი მოღვაწეობა. მან თან წაიყვანა თავისი მოწაფე მთავარ დიაკვანი ილია და გაემგზავრა წმ. შიოს უდაბნოში. როცა წმ. შიოს უდაბნოს ძმათ გაიგეს დიდი ამის და მასწავლებლის მიახლოვება, მიეგებნენ მას წმ. შიოს წინამძღოლობით. ეამბორენ ერთიერთმაეთს, მიიღეს ლოცვა-კურთხევა წმ. იოანნესაგან და შემდეგ წაიყვანეს იგი ღვთის-მშობლის ტაძარში. წმ. შიომ გაიგო, რომ წმ. იოანნეს სურდა ცოტა ხნობით მის უდაბნოში დარჩენა, ამიტომ მან ბერი გაუგზავნა მღვდელ-მთავარს ისეს, წილკანის ეპისკოპოსს, და აცნობა, რომ წმ. იოანნე მის უდაბნოშია და სთხოვდა, რომ იგიც მისულიყო მათთან. ისეს ძლიერ გაეხარდა ეს ამბავი და დაუყოვნებლივ გაემგზავრა წმ. შ[illegible]ს უდაბნოში. როგორც კი მოვიდა ისე წმ. შ[illegible]აბნოში, მან მიიღო ლოცვა-კურთხევა წმ. იოანნესაგან. რამდენიმე დღის შემდეგ წმ იოანნემ ერთ სადილზე მოითხოვა ღვინით სავსე თასი, წმ. ილიამ მისცა მას ღვინით სავსე თასი. მაში. ნეტარმა ჯვარი გადასახა თასს. შემდეგ ზეით აილო იგი შეევედრა ღმერთს და ხელი გაუშვა თასს. თასი ჰაერში გაჩერდა, თითქო რამეზე ყოფილიყოს დამდგარი. სასწაულთ მომქმედი მიუბრუნდა თავისს მოწაფე წმ. შიოს და წმ. ისეს და რქვა მათ: შვილებო, ჩამოიღეთ ეს თასი, სავსე ღვინით და აკურთხეთ: მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაბედა ეს. ყველა იქ მყოფნი გააკვირვა ამ სასწაულმა. და ბოლოს თვითონ იოანნემ აილო თასი და ამ თასიდგან ყველას მოასმევინა ღვინო. შემდეგ წმ. იოანნე მიუბრუნდა წმ. შიოს და უთხრა:, მამაო უნდა ვმადლობდეთ ღმერთს სასწაულისათვის, რომელიც ჰყო უფალმა ჩვენ შორის! წმ. შიო დაემორჩილა მოხუცს, წამოდგა ადგილიდან, დაიდაგა მარცხენა ხელის ტიტველა გულზე ანთებული ნაკვერცხლები, დაადვა მათზე საკმეველი და უკმია იქ მსხდომ წმ. მამებს და ჰაერი აივსო საკმევლის კეთილ სუნნელებით; ამ სასწაულის ყველა მხედველნი აქებდენ და მადლობდენ ღმერთსა და უკვირდათ ღვთის საკვირველი საქმეები. წმ. იოანნემ რქვა იქ მყოფთ: ნუ გიკვირსთ, ძმებო! იცოდეთ, რომ ცეცხლი ვერასავნებს ჭეშმარიტ მორწმუნეთ. ამ ცეცხლმა, რომელიც ანთებულ იქმნა ბაბილონში სამი ყრმისათვის, ვერაავნორა მათ. როცა ქალდეველთ ჩააგდეს ყმაწვილები ანთებულს სახმილში და ფეჩში; მივიდა ამ ყმაწვილებთან ანგელოზი და დაიფარა ისინი ანთებული ცეცხლისაგან, თმაც კი არ შეტრუსიათ. მხოლოდ ცეცხლმა ავნო მათ, რომელთაც აანთეს იგი. შემდეგ წმ. იოანნემ შეხედა მღვდელმთავარს ისეს და უთხრა: «მამაო და მწყემსო მეტყველ ცხოვართაო, ვითხოვთ შენს კურთხევას შენს სახსოვრად». წმ. ისე, აღვსილი სული წმიდით, წამოდგა, აღაპყრო ხელნი თვისნი ზეცისკენ, დიდხანს მხურვალედ ილოცა, შემდეგ დავარდა მიწაზე, მისმა ცრემლებმა მიწა დაასველა, მერე მიუბრუნდა წმ. იოანნეს და სთხოვა მას ლოცვა; შემდაგ როგორც წმ. იოანნეს ისე სხვებსაც სთხოვა წმ. ისემ წაყოლოდენ მას მდინარე ქსანისკენ. წმ. ისემ, როცა იგი ამ მდინარესთან მივიდა, ხელახლად იწყო ლოცვა: «წმიდაო და კურთხეულო ღედოფალო, ამბობდა წმ. ისე, შენის მადლით დამემორჩილოს მე ეს წყალი». როცა მღვდელ-

*) № 22 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი მართლმადიდებლური ლოცვა, მან დაჰკრა თავისი კვერთხი მდინარეზე და რქვა: «სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა გეუბნები შენ, მდინარე ქსანო, გამოჰყევ ჩემა კვერთხს». ჰო, საწაულებავ! წყლის ერთი ნაწილი მოშორდა მდინარეს და გაჰყვა თან წმ. მამას, თითქო კვერთხზე იყო მოკიდებული. მიწა კი ჩაღრმავდა იქ, სადაც ისემ დააყრდნო თავისი კვართი და უჩვენებდა წყალს გზას. ამ სახით წმიდა მამები მივიდნენ წილკანის ღვთის-მშობლის ტაძრამდის, ხოლო წმ. ისეს თან მოსდევდა წყალი. როცა ხსენებულს ტაძრამდის მივიდა წმ. ისე, წყალს თავი დაანება და მან თავისთვის გაიკვალა გზა; ეს წყალი დღეს მიმდინარეობს ღვთის-მშობლის ეკკლესიის ციხის გვერდით, სადიდებლად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და დასამტკიცებლად წმ. ისეს სიწმიდისა. ამ სასწაულის მხილველნი იყვნენ როგორც წმ. იოანნე, შიო, ილია მთავარ-დიაკვანი, ევაგრი და სხვა ძმებიც წმ. შიოს უდაბნოისა, ისე დიდი ქალაქის მცხეთის მცხოვრებნი, ახლო-მახლო სოფლების და წილკნის მცხოვრებნი, რომელნიც აქებდნენ და მადლობდენ ღმერთსა, რომელმაც მიმადლა ამ წმიდა მამებს ცსოდენი სასწაულთ მოქმედებითი ძალა».

როცა წმ. იოანნე დარწმუნდა, რომ მისი მოწაფეები სულიერად განვითარებულნი იყვნენ, იგი თავისი მთავარ-დიაკვანით ილიათურთ დაბრუნდა თავისს უდაბნოში. წმ. იოანნეს მოწაფეებიც: შიო, ისე და სხვები დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ადგილებში.

იმ მთაზე, რომელზედაც სცხოვრებდა წმ. იოანნე, პირველად წყალი არ ყოფილა. წმ. იოანნეს მოწაფე წმ. ილია დიდ შრომას ეწეოდა: იგი ეზიდებოდა წყალს მდინარე არაგვიდან, რომელიც გვერდით ჩაუდის ზედაზნის მთას. წმ. იოანნეს ებრალებოდა თავისი მოწაფე და ამიტომ ცრემლით ევედრებოდა ღმერთს, რომ მას იმ მაღალ მთაზე გაეჩინა წყარო. ღმერთმა შეისმინა ვედრება თავისი მონისა და ზადენის მთაზე გაჩნდა მშვენიერი წყარო, რომელიც დღესაც არის იმ მთაზე სადიდებლად უფლისა და მისი მონის იოანესა.

ხალხმა ამ ახალი სასწაულის შემდეგ უფრო მომეტებულად იწყო სიარული ამ მთაზე და თან მოჰყავდათ სხვა და სხვა სენით ავადმყოფნი. ავადმყოფთ წმ. იოანნე ასმევდა იმ წყაროს წყალს, რომელიც წმიდანმა გამოთხოვა ღმერთს და ავადმყოფნი მაშინვე იღებდენ სულიერს და ხორციელ კურნებას.

ერთხელ წმიდანის მოწაფე, მთავარ-დიაკონი ილია, წავიდა წყაროზე წყლის მოსატანათ, წყლის ამოღების დროს, გაიხედა და თავისს პირ-და-პირ დაინახა ვებერთელა დათვი, რომელიც წყაროსკენ მოდიოდა. ილიას მომეტებულად შეეშინდა, მიატოვა საწყლე და თავზარდაცემული გაექანა წმ. იოანნესთან, რომელსაც უთხრა: წავიდეთ, მამაო, მე გიჩვენებთ თქვენ იმ დათვს წყაროსთან. წმ. იოანნე გაჰყვა თავისს მოწაფეს და, მართლაც, წყაროსთან ნახა დათვი, რომელიც წყალს სვამდა. წმ. იოანნემ მშვიდობიანად უთხრა: დალიე, თუ გწყურია და წადი აქედგან; მაგრამ გეუბნები შენ, რომ არც შენ და არც შენმა მოდგმამ დღეიდგან არავის არავითარი ვნება არ მიაყენოს აქ.

დათვმა, რომელმაც მოისმინა წმიდანის სიტყვები, დაღუნა თავი და როგორც მორჩილი მოსამსახურე, დაუყოვნებლივ განეშორა წყაროს. ამ ნაირად წმ. იოანნე დარიგებას აძლევდა ამ მარტო კაცებს არამედ მხეცებსაც, რომლებიც ბლომად ცხოვრებდნენ ამ მთაზე, მაგრამ არავითარ ვნებას არ აძლევდნენ და არც დღეს აძლევენ კაცებს; როგორც კი დაინახვენ აქაური მხეცები კაცს, მაშინვე მოერიდებიან და სხვა გზით გარბიან.

ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ უნდა განისვენებია წმ. იოანნეს. წმიდანმა ღვთის განგებით შეიტყო სიკვდილის მოახლოება. მან მოიწვია ზოგიერთი თავისი მოწაფეები, რომელნიც კიდევ ცოცხლები იყვნენ, და, სხვათა შორის, მთავარ-დიაკონი ილია და წმ. თადეოზ სტეფან-წმინდელი, რომელმაც წმ. იოანნეს ბრძანებით ზადენის მთის ძირზე დაარსა უდაბნო მათთვის, რომელნიც მიდიოდნენ წმ. იოანნესთან სულის საცხოვნებლად. წმ. იოანნე არავის არ იღებდა თავისთან, რადგან განმარტოებული ცხოვრება უყვარდა; თავისთან ჰყავდა მარტო ილია, და სხვებს კი ამ თადეოზის მონასტერში აგ-

ზავნიდა. «შვილნო ჩემნო! ეუბნებოდა წმ. იოანნე თვისს გარეშე მყოფთ, მოახლოებულ არს უკანასკნელი ჟამი ჩემი; მეშინია, რომ ჩემმა ბოროტმა მტრებმა არ წარმართონ გზა ჩემი ჯოჯოხეთისადმი. სიკვდილის ჟამს გეშინოდესთ თქვენც, ჩემნო ძმანო, ეშმაკისა, რომ მან არ შეგაცდინოსთ, ვინაიდგან კაცის მტერი მუდამ უთვალთვალებს ჩვენს სულს, რომ როგორიმე გზით წარიტაცოს იგი და ვერავინ ვერ დაიფარავს მისგან თავსს თუ არა მარხვითა და სხეულის სიწმიდითა, ვინაიდგან ამ მოღვაწეობით გვეძლევა ღვთისგან ძალა ვებრძოლოთ ჩვენი სულის მტერს. ამიტომ გთხოვთ, ჩემო შვილებო, ყოველს ჟამს მზათ იყვენით და წმიდათ ემსახურეთ უფალსა და მეც მომიხსენიებდეთ ხოლმე ლოცვაში».

შემდეგ წმ. იოანნემ თავისს მოწაფეებს დაუბარა, დაესაფლავებიათ მისი გვამი იმ მთაზე იმავე გამოქვაბულში, რომელშიაც ცხოვრებდა და მოღვაწეობდა იგი. შემდეგ ეზიარა. წმიდა საიდუმლოს მიღების შემდეგ, წმ. იოანნე უეცრად აღივსო სიხარულით, იხილა რა თავისს წინამე მრავალი ზეციური უსხეულო ძალნი და მათთან მრავალი წმიდანები, რომელნიც მოსულიყვნენ წმიდა იოანნესთან, რათა მიიღონ მისი წმიდა სული და მიავლინონ ღვთის ტახტის წინაშე, და ამ სიხარულში განუტევა წმიდანმა სული თვისი ზეციურ მოქალაქეთა ხელში. მოწაფეები დატიროდნენ წმ. იოანნეს გვამს და სწუხდენ თავიანთ ობლობას. უუწმიდესო მამაო და ჩვენ სულთა გზის მაჩვენებელო, ამბობდენ ისინი ტირილით, სადღა ვიხილოთ ეხლა შენი ანგელოზის მსგავსი სახე? ვინღა განკურნებს ჩვენს უძლურებას, შენს მსგავსად ვინღა მორწყავს მიწას წმიდა ცრემლებით? დიდი მწუხარების და გოდების შემდეგ მოწაფეებმა წმ. იოანნეს გვამი მოამზადეს დასაკრძალავად, მაგრამ მათ უკვე დაავიწყდათ, ან შეიძლება არა სურდათ თავისი მასწავლებლის გვამი დაესაფლავებიათ უბრალო გამოქვაბულში მთაზე, და ამიტომ შეკრიბეს მღვდლები, მთავარ-დიაკვნები და წარჩინებულ სახოფლელო და სასულიერო პირთა თანადასწრებით მთიდან წამოასვენეს წმიდანის გვამი და მოასვენეს ქვედა უდაბნოში, წმ. თადეოზის მონასტერში, და წინდაწინვე განგებ მომზადებულს სასაფლაოში დაასაფლავეს წმიდანის გვამი. მაგრამ წმიდანს არ მოეწონა მისი მოწაფეების ასეთი საქციელი. წმიდანს განსვენების შემდეგაც სურდა, რომ იგი დაესაფლავებიათ იქ, სადაც თვითონ დაიბარა. წმ. თადეოზის მონასტრის გარეშემო მიწამ იწყო საოცრად რყევა, აქედგან მოწაფეებმა შეიტყვეს, რომ წმიდანს არა სურდა განსვენება წმ. თადეოზის მონასტერში. მათ მოიგონეს წმ. იოანნეს უკანასკნელი სიტყვა და წავიდნენ ქათალიკოსთან და გამოუცხადეს მათ მეუფეებას წმ. იოანნეს დაბარება. როგორც კი ეს ამბავი შეიტყო კათალიკოსმა, იგი მაშინვე გაემგზავრა მონასტერში და თან გაიყოლა მღვდლები და მთავარ-დიაკვნები და მრავალი ხალხი, ამოასვენა წმ. იოანნეს წმ. ნაშთნი სასაფლაოდან და ანთებული სანთლებით და და დიდებით წაასვენეს მთაზე, აღნიშნულს გამოქვაბულში, სადაც კიდეც დაკრძალეს. მაშინვე შედგა ქვემო მონასტრის გარშემო მიწის ძვრა.

როცა მრავალმა წლებმა განვლო, წმ. კლიმენტმა-მცხეთის ქათალიკოსმა აღნიშნული გამოქვაბულის სამხრეთით აღაშენა ტაძარი წმიდა იოანნე ნათლის მცემლის სახელზე, რომელშიაც თვით სამსხვერპლოსთან, დღესაც განისვენებს წმ. იოანნეს გვამი. თავისი დაუღალავი მოღვაწეობით წმ. იოანნემ განამშვენა ივერია და ასწავლა ხალხს ღვთის სამსახური როგორც თავისი მაგალითებით ისე თავისი მოწაფეების მეოხებით, ამიტომ ივერიის წმ. ეკკლესიამ დაადგინა ამ წმიდანის პატივ საცემლად დღესასწაულობა 7 მაისს მისი თორმეტი მოწაფეებითურთ.

წმ. იოანნე აღესრულა 557 და 560 წლებში ქათალიკოსის მაკარის დროს.

ეროვნული სახელმწიფო ბიბლიოთეკა



# განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

## „მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

### ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» | 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» | 2 მ. |
| — ,, ორივე გამოცემა | 4 » | — ,, ორივე გამოცემა | 3 » |
| — ,, რუსული ,, | 3 მ. | — ,, რუსული ,, | 1 » |

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით **სამ მ ა ნ ე თ ა დ.**

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას შესანიშნავი განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და შეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ-ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამმის ასრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც**. და **თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; **გორში**—სასულ. სასწავლებლის მასწავლებელ ილია ი. ფერაძესთან; **საჩხერეში**— მ. ყარალან ჩხეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. **ახალსენაკში**—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირდონ ან. მატარაძესთან.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

ამ მიმდინარე წლის საჩუქარი **შოთა რუსთაველის მხატვრობა** უკვე დაურიგდათ ხელის მომწერთ და ვისაც ჯერ არა აქვს მიღებული, ისინიც მალე მიიღებენ.

---

**1896 წლის «მწყემსი»-ს**

**ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ**

**მოზრდილი ფოტოგრაფიული მხატვრობა**

საქართველოს მეფის წმ.

## დავით აღმაშენებელისა

და

იმერეთის ეპისკოპოსის

## გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ა

ეს მხატვრობანი ფულის შემოტანისათანავე გაეგზავნება ყველა ხელის მომწერთა.

---

მიიღება ხელის-მო[illegible]ერა 1896 წლისათვის თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

## „ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 12 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ეღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

ბიბლიოთეკა

---

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთის

# „კვალი“

გამოვა 1896 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

რედაქცია ყოველ-ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიჭირა პეტერბურღიდან ძრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად შვიდი მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაგზავნით ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან. გაგზავნით სამი მან. თითო ნომერი აბაზათ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის «ქართულ სახალხო სამკითხველოში» და „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში». ქალაქს გარეშე ხელის და თვით «კვალის» და «ჯეჯილის» რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамашева, возлѣ кадетскаго корпуса).

ვინც «ჯეჯილსა» და «კვალს» ერთად დაიბარებს, მათთვის წლიურათ ეღირება გაუგზავნელათ 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція «КВАЛИ».

3—2

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1896 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . | 6 მ. — |
| 11 » . . | 9 » 50 » | 5 » . . . | 5 » 50 |
| 10 » . . | 8 » 75 » | 4 » . . . | 4 » 75 |
| 9 » . . | 8 » — » | 3 » . . . | 3 » 50 |
| 8 » . . | 7 » 25 » | 2 » . . . | 2 » 75 |
| 7 » . . | 6 » 50 » | 1 » . . . | 1 » 50 |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ Редакцію газеты „ИВЕРІЯ“*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

მეოთხე გვერდზედ თითო-ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზედ—16 კაპ.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 12.

რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

3—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

1896 წლის 1 იანვრიდან

მეურნეობის, ეკონომიის, მრეწველობის, ჰიგიენის, სტატისტიკის და საზეითალო ჟურნალი

# „მეურნე“

გამოიცემა ქუთაისში ახალის რედაქციისაგან იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ქუთაისში: წლით 4 მანეთი | ქუთაისს გარეთ: წლით 5 მ. |
| ნახევარის წლით 2 მ. 50 კ. | ნახევარის წლით 3 მ. |

ჟურნალში დაახლოვებულს მონაწილეობას მიიღებენ: აგრონომები: გუნცაძე იოსები, დგებუაძე ნიკოლოზი, ნაკაშიძე ერმილე, თ—დი; სულხანიშვილი ვასილი; შარაშიძე ალექსანდრე; მედიკოსის დოქტორი ნაზაროვი დიმიტრი; მეფუტკრე აპოლონ წულაძე და სხვანი. ამათის და სხვა თანამშრომლების მეოხებით რედაქციას იმედი აქვს, რომ პირნათლად აღასრულებს თავის მოვალეობას.

ვისაც «მეურნის» გამოწერა სურს, უნდა მიჰმართოს: ქუთაისში «მეურნის» რედაქციას, გეგუთის ქუჩის გადასახვევში ჭყონიას სახლი № 10; თბილისში «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას»; ზუგდიდში ვლადიმერ კონსტანტინეს ძეს ალშიბაიას; თელავში ვლადიმერ ალათონის ძეს ავიმონოვს კასპში ბ-ნს ილია თუხარელს; ლანჩხუთში კირილე წილოსანს; დ. გვირილაში თ. ხუსკივაძეს; ოზურგეთში ვასილ ხუნდაძეს; ბათუმში პავლე შ. ჭყონიას.

რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭყონია.

---

საქველმოქმედო

# თამარის

## ნახატიანი

## ფოსტის ქაღალდი

ისყიდება თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის მაღაზიებში

**თითო ფურცელი თითო კაპეიკად.**

მოგებული თანხიდან ნახევარი შეეწირება **ზეპირსიტყვაობის ფონდს** და ნახევარიც მოხმარდება იაფფასიან და მუქთად დასარიგებელ **სახალხო წიგნაკების** გამოცემას.

ვისაც სურს გამოწერა შეუძლიათ დაიბარონ ფოსტით დ. ყვირილიდან მიხეილ ბარამაძისაგან.

---

«მწყემსი»-ს რედაქციისაგან დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად და ისყიდება

ცხოვრება ღირსისა და ღმერთ-შემოსილისა

მამისა ჩვენისა

# გიორგი მთაწმინდელისა,

საღმრთო წერილის ქართულს ენაზე მთარგმნელისა, ათონის ივერიის სავანის კტიტორისა და სრულიად ივერიის განმანათლებელისა.

---

დამზღვევი საზოგადოება

# „იაკორი“

(ღ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან,

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კი თვით დაზღვევულითანხაც— 10,000 მან.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, კავკასის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2) და იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოევისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. 20—8

## სახელმძღვანელონი,

### დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

**დედა-ენა**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ ყიდვა არც სახატავებისა და არც დედანისა. ფასი ისევ ექვსი შაური, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად, ყდით 33 კაპ.

**ბუნების კარი**, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხ-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა» და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

**კოკორი**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური ნარდათ 8 კაპეიკი.

**კონა** საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა-ორ აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

**ხომლი**, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

**კუნწულა**, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

**იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

**ხატის მიზეზი?** საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შაური.

**ასპინძის ომი** საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ქარტით, ფასი ორი შაური

**მთავარი უკუღმართობა**, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

---

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое, цѣна тридпать копѣекъ, въ переплетѣ 40 копѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподованію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова" одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихъ" одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (смотри „Сборникъ" распоряженій по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано „Русское Слово" духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

10—3.

---

## შინაარსი.

სალიტერატურო განყოფილება: რედაქციისაგან.—1895 წლის გამთავეს.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება ქუთაისში.—სამაგალითო ქრისტიანე.—
სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე: ცხოვრება ღირსისა და სასწაულთ-მომქმედისა წმ. იოანნე ზედაზნელისა.
—განცხადება.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. Дозволено цензурою. Кутаисъ, 30 Декабря 1895 г.
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананових, на Нѣмецкой ул.